ცნობის ფურცელი

№ 2547 ხუთშაბათი, 8 ივლისი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2547

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში განქერის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

შაბათს, 10 ივლისს, ქ. ქუთაისში სასულიერო სასწავლებლის ეკკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი აწ გარდაცვალებულის

ესტატე ბესარიონის ძის ლამპაშიძისა,

რასაც აუწყებენ ნათესავთა, პატივის მცემელთა და ნაცნობთ მეუღლე მისი **ოლღა ვასილის ასული** შვილებითურთ. (1—კნ.—1)

ფოთის საბუხჰალტერო კურსები

(წელიწადი მეხუთე)

სწავლა დაიწყება პირველ ენკენისთვიდან და გრძელდება ერთი წელი და ორი თვე. კურსებზე ღებულობენ როგორც ვაჟებს, ისე ქალებს. ასწავლიან: 1) საერთო ბუხჰალტერიის მარტივი და ორკეცი სისტემისა. 2) სპეციალურ ბუხჰალტერიას სხვა-და-სხვა დაწესებულებათა: ბანკების, ქარხნების, აქციონერულ საზოგადოებების, დიდ მაღაზიების და სხვათა ამ გვართა. 3) სავაჭრო არითმეტიკას. 4) სავაჭრო ეკონომიას. 5) სავაჭრო გეოგრაფიას. 6) სავაჭრო და სათამასუქო კანონებს. 7) სავაჭრო მიწერ-მოწერას და 8) კალიგრაფიას.

კურსების დამაარსებელი **კ. გიგინეიშვილი.**

მსურველთ პროგრამებს უგზავნის უფასოდ. (25—6.—2)

ტ ფ ი ლ ი ს ი ს

პერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დ ი ლ ი თ:

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ა. ნ. დიასამიძე.—საშარდეს, ქირურგია, ვენერ. სიფილ. და კანისა 11—12 საათამდე.

მ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის. 10—11 საათ.

ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9—10 ს.

არ. მ. ხოზოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკე. 1—3 საათამდე.

ვ. ა. ბეიერი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ. ყოველ დღე.

ექ. ქალი მ. ქ. იოსელიანი.—ქალისა და საბეჭიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 11—12 ს.

ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

ნ. ტყეშელაშვილი.—კბილისა, 9—11 საათამდე.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ა. მ. ხოზოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია. სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

სამკურნალოში ხდება ქიმიკურ-მიკროსკოპიული და ბაქტერიოსკოპიული გამოკვლევანი.

სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) **ტელეფონი № 274.**

მ კ უ რ ნ ა ლ ი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.

ვორონცოვის ქ., № 16. საკუთ. სახ., ტელ. 791.

ე ქ ი მ ი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს **თვალით ავადმყოფებს** ყოველ დღე, დილის 12—2 ს., საღამოთი 6—8 ს., სამშაბათობით მხოლოდ საღამოობით. კიროჩნის და დიდი მთავრის ქუჩ. კუთხე, სახლი სვანიშვილისა № 11 (კიროჩნი ქუჩიდან).

ტფილისში ვარანცოვის ძეგლის პირ დაპირ ბ. ა. ალიხანოვის მშვენივრათ მორთულ საკანდიტერო დარბაზში

ი ყ ი დ ე ბ ა

მიტროფანე ლაღიძის

საუკეთესო ქარხნის ნამდვილი

ხ ი ლ ე უ ლ ი ს

მშვენიერი გემოსი და არომატის წყალი ზომიერ ფასებში. (20—6ქ.—18)

საუკეთესოდ მოწყობილი

ასოების ჩამოსასხმელი ქარხანა

წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობისა.

ამზადებს ყოველნაირ ქართულს, რუსულს, სომხურს და თათრულს ასოებს.

პრეისკურანტი მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.

ქ უ თ ა ი ს შ ი

კბილის ექიმი ნ. ა. დემიდოვი

(აზორინის შესახვევი, საკუთარი სახლი)

მიიღებს ყოველ დღე. პლომბის გაკეთება და კბილების ხასმა. (30—140—30,

რ ე დ ა ქ ც ი ი ს ა გ ა ნ.

გ ა ზ ე თ ი

„ცნობის ფურცელი“

1-ლ ივლისიდან წლის დამლევამდე ღირს 3 მ. 50 კ.

1-ლ აგვისტოდან „ „ „ 3 მ. — „

ადრესის გამოსაცვლელად—ვინც ერთი ქალაქიდან მეორეში გადადის, უნდა გადაიხადოს 40 კ. ვინც ტფილისიდან გადის—1 მან.

ყოველ დღიურ გაზეთ

„ცნობის ფურცელი“-ს

ნომრები იყიდება საქართველოს შემდეგ ადგილებში: გორს, ბორჯომს, სამტრედიას, ყვირილას, ჭიათურას, ქუთისს, ბაღდადს, ხონს, ოზურგეთს, ბათუმს, სოხუმს, ფოთს, ახალსენაკს, ზუგდიდს, სიღნაღს და თელავში. ტფილისის ყველა გამყიდავებთან. ყველგან **გაზეთის ნომერი ღირს 3 კ., ხოლო სურათეაიან დამატებით**—5 კ. თუ ვისმეს სურს, აქ არ ჩამოთვლილ ადგილებში გაზეთების ნომრების გაყიდვა იკისროს, ვთხოვთ რედაქციას მიჰმართონ წერილით.

რუსეთ-იაპონიის ომი

დ ე პ ე შ ე ბ ი

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

7 ივლისი

პეტერბურგი. 6 ივლისს პეტერბურგს დაბრუნდნენ და აქედან პეტერგოფს გაემგზავრნენ ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფე მემკვიდრე.

სტარაია რუსა. 6 ივლისს, დილის 8 საათზე, მობრძანდა ხელმწიფე იმპერატორი. მიეგებნენ სხვა-და-სხვა დეპუტაციები ნოვგოროდის გუბერნატორის მეთაურობით. ხელმწიფე იმპერატორმა დაათვალიერა ომში მიმავალი ვილმანსტრანდის პოლკი, დალოცა იგი, ბედნიერი ლაშქრობა და მშვიდობით დაბრუნება უსურვა.

ნოვგოროდი. 6 ივლისს, ნაშუადღევის 12 საათსა და 20 წ. სტარაია რუსადან მობრძანდა ხელმწიფე იმპერატორი. პირველად მის უდიდებულესობას წარუდგა ვიცე-გუბერნატორი დირინი. შემდეგ პურ-მარილი მიართვეს: თავად-აზნაურთა, ქალაქის თვითმართველობისა, ერობისა, ვაჭართა და მოქალაქეთა დეპუტაციებმა. ებრაელებმა სამღვთო წიგნები მიართვეს. ხელმწიფე იმპერატორმა ზოგიერთი დეპუტაცია მოკლე საუბრით გააბედნიერა. სოფიის მოედანზე ხელმწიფემ დაათვალიერა შორეულ აღმოსავლეთში მიმავალი ჯარი: ვიბორგისა და ნეიშლოტის პოლკები; დალოცა ისინი თვისისა და ხელმწიფე დედოფლის სახელით და უვნებლად დაბრუნება უსურვა. ჯარმა აღტაცებულის „ურა“-თი უპასუხა. აქედან ხელმწიფე ცხენით წაბრძანდა „ტისიაჩილეტიე“-ს მოედანზე და იქ, წმ. სოფიის საკრებულო ტაძრის წინ, დაათვალიერა სადივიზიო ქარავანი, რომელიც ომში იგზავნება. უმოწყალესად ესაუბრა შორეულ აღმოსავლეთში მიმავალ მოწყალების დებს; მიიღო პურ-მარილი წითელ ჯვრის ადგილობრივ საზოგადოების მზრუნველის გენერალ პოლუბოიარინოვის მეუღლისაგან. მოწყალების დათა შორის იყო გუბერნატორის ქალი ფრეილინა გრაფინია მედემ. საკრებულო ტაძარში იმპერატორს მიეგება და სიტყვა მოახსენა არქიეპისკოპოსმა გურიიმ. მცირე პარაკლისის შემდეგ ადგილობრივმა სამღვდელოებამ და ქალთა მონასტრების წინამძღვარებმა მიართვეს ხატები ხელმწიფე იმპერატორს, ხელმწიფე მემკვიდრეს და დიდ მთავარს ვლადიმირ ალექსანდრეს-ძეს. ხელმწიფე იმპერატორი ემთხვია წმ. ნაწილებს; შემდეგ მისმა უდიდებულესობამ დაათვალიერა საეკკლესიო შესამოსლის კოლექცია, გაბრძანდა სოფიის მოედანზე და მოწყალედ მოისმინა მოხსენება ცეცხლის მქრობელთა თავისუფალ დრუჟინის წარმომადგენელისა. გიმნაზიელი ქალები ქუჩებში ყვავილებზე ჰყვენდნენ. ყველა აღტაცებულია და ყველგან სამაგალითო წეს-რიგია. ხელმწიფე იმპერატორი მესამე საათზე ჩუდოვოში წაბრძანდა.

სუეცი („რეიტ. სააგ.“). გემი „მალაკკა“ აქ მოვიდა. გემზე რუსის დროშა იყო ამართული და რუსის მეზღვაურნი იყვნენ.

ლიაოიანი. ტხავუანიდან იუწყებიან, რომ 3 ივლისის ბრძოლაში დიდმა მთავარმა ბორის ვლადიმირის ძემ მიიღო მონაწილეობა.

ლონდონი. რუსეთის კრეისერმა „ჩერნომორეც“-მა დარდანელის სრუტე გაიარა.

ბერლინი. კუროკის მთავარ ბინიდან იუწყებიან, რომ მოტიენლინის უღელტეხილთან მომხდარ ბრძოლაში 20,000 რუსი იღებდა მონაწილეობასაო. უკან რუსებმა შესანიშნავის წესითა და რიგით დაიხიეს. ამისი მიზეზი უფროსების კარგი განკარგულება იყო.

(დამის დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები. „მატენ“-ის კორესპონდენტი იუწყება ნიუ-ჩუანიდან: რუსის ჯარმა გაიჩოუდან დაშიცაოსკენ დაიხია, იქ პოზიციებზე დადგა და საბრძოლველად მოემზადა. ამ ჯარს თითონ გენ. კუროპატკინი გაუწევს ხელმძღვანელობას. რუსის მთავარსარდალს ყოველთვის მზად უდგა რკინის გზის მატარებელი, რომ საცა დასჭირდება, ხელად წავიდესო. („ნ. დ.“).

„ტაიმს“-ის ტოკიოელი კორესპონდენტი სწერს: რუსებს დაშიცაოსთან 30 ათასი კაცი ჰყავთ; ამდენივე ჰყავთ ხაიჩენშიაც. იაპონიის სამივე არმია დიდის თანხმობით მოქმედებს: ასე 13 და 14 ივნისს გენ. კუროკის არმიამ მოდულინისა, ფინშუილინისა და სხვა უღელტეხილები დაიჭირა ლიაოიანის გზაზე. ამავე დროს დაგუშანის არმიამ დალინის უღელტეხილი დაიჭირა ხაიჩენის გზაზე. 17—20 ივნისს გენ. კუროკის არმია ლიაოიანს მიუახლოვდა, ამავე დროს გენ. ოკუს არმიამ გაიჩოუსაკენ გაილაშქრა და 25—26 ივნისს გაიჩოუ დაიჭირა და რუსის ჯარს დაშიცაოსკენ დაახევინა. („ნ. დ.“).

„ტაიმს“-ის კორესპონდენტი იუწყება: მანამ გენ. კუროკის არმია ლიაოიანს არ მიუახლოვდება, დიდი ბრძოლა არ მოხდებაო, გენ. კუროკი თავის მარცხენა ფრთას უცდისო.

გენ. კუროკის მთავარ სადგომიდან ატყობინებენ ინგლისურ გაზეთებს: მოდულინის უღელტეხილზე ბრძოლის დროს იაპონელებმა 50 რუსი დაატყვევეს, ამათგან 47 დაჭრილი იყო. ბრძოლის შემდეგ იაპონელებმა 55 მოკლული რუსი დაასაფლავეს. გენ კუროკიმ ნება მისცა უცხოელ კორესპონდენტებს და სამხედრო აგენტებს, შეგიძლიანთ ჯარს გაჰყვეთო. იაპონელებს მეტად ცუდი გზები აქვთ გასავლელი, ამიტომ საპიორები ბეჯითად ასწორებენ გზებს. გზა და გზა ბევრი მოკლული რუსია დასაფლავებული; საფლავებზე ჯვრებია ამართული და ზედ დასაფლავებულის სახელი და გვარი აწერია. წარსულ კვირა დღეს იაპონიის ჯარი საშინელმა სიცხემ შეაწუხა, მეორე დღეს კოკისპირულმა წვიმამ და სიცივემაც არა ნაკლები შეწუხება მიაყენა. კარვები არა ჰყოფნით და ბევრ ჯარის-კაცს ცას ქვეშ მიწაზე ეძინა. თუმცა საშინლად წვიმდა და გზები მეტის მეტად ატალახდა, ჯარი მაინც წინ მიდიოდა. იაპონელ ჯარის-კაცებს ვერც სიცხე აჩერებს, ვერც სიცივე. გზაში თითქმის არავინ არა რჩება. უკან. ჩინელები ყოველ-ნაირ დახმარებას უწევენ იაპონელებსაო. („ნ. დ.“).

როგორც ვიცით, იაპონიის ჯარის მთავარ-სარდლად მარშალი ოიამა დაინიშა. „ლოკალ ანცაიგერ“-ი სწერს ამის თაობაზე: წინად გენ. კუროკისა და გენ. ოკუს არმიები ცალ-ცალკე, დამოუკიდებლად მოქმედებდნენ, ბოლოს დროს ეს არმიები ერთმანეთს დაუახლოვდნენ... ამ ორ არმიას შუა მესამე ანუ დაგუშანის არმია მოქმედებს. ამბობდნენ, ამ მესამე არმიას გენ. ნოძუ უფროსობსო, მაგრამ ბოლოს დროს ცნობა მოვიდა, გენ. ნოძუ ჯერ ისევ იაპონიაშია და მესამე არმია გენ. კუროკის ემორჩილებაო. იაპონელები 160 ვერსის სიგრძეზე მოქმედებენ და ამ ჟამად მეტად მძიმე, რთული საქმე უდევთ წინა. იაპონიიდან ხელმძღვანელობისა და მეთაურობის გაწევა შეუძლებელი იყო; ამიტომ იაპონიის მთავარშტაბმა სამივე არმია ერთ უფროსს სარდალს დაუმორჩილა და მთავარ-სარდალი მარშალი ოიამა მანჯურიაში გაჰგზავნა. მარშალ ოიამას შტაბის უფროსად იაპონელებმა გენ. კოდამა დანიშნეს და ამით თავიანთი გონივრობა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს. გენ. კოდამა მეტად ნიჭიერი აფიცერია; ეხლანდელ ომის პლანიც იმისი შედგენილია. შტაბის უფროსმა შინაურ ომებისა და იაპონია-ჩინეთის ომის დროს ისახელა თავი; მერე კუნძულ ფორმოზას გუბერნატორად იყო და აქაც თავი გამოიჩინა. („რ. ლ.“).

„დეილი ტელეგრაფ“-ი სწერს: გენ. კუროპატკინი ზედ-მიწევნით ასრულებს თავის პლანს: უნდოდა მტერი მანჯურიაში შეეტყუებინა—იაპონელები თითონ მოვიდნენ მანჯურიაში. ეხლა გენ. კუროპატკინმა თავის პლანის მეორე ნაწილი უნდა შეასრულოს, ესე იგი იაპონელები მანჯურიიდან გარეკოსო. („რ. ლ.“).

„ტაიმს“-ს დეპეშით ატყობინებენ ტოკიოდან: იაპონელები ორ რაზმად მიდიან პორტ-არტურისაკენ. ერთი რაზმი დალნიდან მიდის, მეორე ჩრდილოეთის გზით. ამბობენ, პირველმა რაზმმა ფლოტის დახმარებით ფორტი მიაოტუში აიღო და ზედ 8 ზარბაზანი დადგაო. ეს პოზიცია მეტად მარჯვე პოზიციაა. აქედან იაპონელები ციხის აღმოსავლეთ მხარეს დაუშენენ ზარბაზანს. ამ ფორტის აღების დროს იაპონელებსა და რუსებს დიდი ზარალი მოჰსვლიათ. მეორე რაზმი მუშინგის პირდაპირ დგას, პორტ-არტურიდან 6 კილომეტრის მანძილზე, ჩრდილოეთის მხარეს. ამ პოზიციასთან უეჭველად დიდი ბრძოლა მოხდება.

„რეიტერის სააგენტო“-ს დეპეშით ატყობინებენ ჩიფუდან: 21-22 ივნისს პორტ-არტურთან დიდი ბრძოლა მოხდაო. რუსები ამბობენ, იაპონელებს ყველგან უკან დავახევინეთო. რუსებს 1000 კაცი მოუკლეს და 700 დაუჭრესო. დაჭრილები მეორე დღეს პორტ-არტურში მოიყვანეს. კიდევ მოელიან დაჭრილებსაო.

„კელნიშე ცაიტუნგ“-ს დეპეშით ატყობინებენ ბერნიდან: შვეიცარიის მთავრობამ თავის სამხედრო აგენტებს მანჯურიაში მისწერა, დაუყოვნებლივ შინ დაბრუნდითო. ამ ამბავმა მეტად ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა შვეიცარიის ხალხზე. რა დააშავეს ამ

აფიცრებმა, სწორედ არავინ იცის: ბერნში ათას-ნაირი ხმა დადის, რუსეთის ელჩი-კი ხმას არ იღებს. სამხედრო აგენტები ამ ჟამად გზაში არიან. („რ. ს.").

ბრძოლა ვაფანგოუსთან, 2 ივნისს. „ნოვოე ვრემია"-ს კორესპონდენტი სწერს: თავიანთ საყვარელ ტაქტიკის თანახმად, იაპონელებმა 2 ივნისს თავდაპირველად ზარბაზანი დაუშინეს რუსის ბატარეებს, ნამეტნავად შუა ჯარის პირველ, მეორეს, მესამეს და მეოთხე ბატარეებს დაუწყეს სროლა. მეოთხე ბატარეია 20 წამში გააქრეს: ერთის გარდა, ყველა ზარბაზანი წაუხდინეს, ყველა აფიცერი ან მოუკლეს, ან დაუჭრეს; სალდათები, ათის კაცის გარდა, სულ გაუწყვიტეს. ერთად-ერთ გადარჩენილ ზარბაზნის ახლო, ყუმბარის ყუთს იაპონელების ყუმბარა დაეცა, იფეთქა, ხალხი და ცხენები სულ ერთიანად გასწყვიტა და ზარბაზანიც მილეწ-მოლეწა. ყუმბარის ნატეხმა ბატარეის უფროსს კაპიტან იადინსკის ორივ თვალი გამოსთხარა და თავი გაუტეხა. როგორც ვსთქვით, იაპონელებმა პირველად მეოთხე ბატარეიას დაუშინეს ზარბაზანი. პირველი ორი ყუმბარა ასცდა ბატარეიას, მესამე კარგად მოხვდა. ამის შემდეგ მოჰყვნენ და მთელი ბატარეია გაანადგურეს. საზღვრის დამცველ რაზმის ბატარეიაც სულ მთლად გააქრეს. მე-35 პოლკის მეორე და მესამე როტა მეტად დიდხანს დარჩნენ თავიანთ პოზიციაზე; ამ როტებმა ყველა აფიცერი დაჰკარგეს. როტის უფროსობა უნტერ-აფიცერმა იკისრა და უკან დახევა ფიქრადაც არ გაიტარა. ამ როტებს სხვა როტებიც მოემატა. მე-35 პოლკის უფროსი დავბორ-მუსნიცკი თითონ მივიდა ამ როტებთან და ძლივს-ძლივობით წამოიყვანა. ამ დროს ტყვია მოხვდა პოლკოვნიკს და ხელში დასჭრა. მე-3 პოლკში ზოგიერთ როტას 20—30 კაცი ძლივს შერჩა. სხვა პოლკებსაც დიდი ზარალი მოუვიდათ. მესამე პოლკის მეორე როტის უფროსი კაპიტანი ლუზინი და 2 აფიცერი მოჰკლეს; მე-3 როტის უფროსი რაზელინი მოჰკლეს და ორი უმცროსი აფიცერი დასჭრეს. მეოთხე როტაში პორუჩიკი კერმნსკი დასჭრეს; მეხუთე როტაში კაპიტანი კოტოვსკი დასჭრეს და პორუჩიკი ბოგდანოვი მოჰკლეს. მეექვსე როტაში კაპიტანი ხასკინი მოჰკლეს; ამ როტაში 30 კაცი გადარჩა. მერვე როტის უფროსი სასიკვდილოთ დასჭრეს და იარის შესახვევად რომ მიიყვანეს, გარდაიცვალა. მეცხრე როტის უფროსი მოკლეს. ამას გარდა, ამ პოლკში პირველ, მეორე და მესამე ბატალიონის უფროსები დასჭრეს; პოლკის ადიუტანტი სემენოვი ფეხში დასჭრეს; იმის ძმას სამი ტყვია მოხვდა მკერდში. პირველ პოლკის უფროსი პოლკოვნიკი ხვასტუნოვი, იმისი ადიუტანტი ნადტოჩინსკი და პორუჩიკი დლოსკანოვი მოჰკლეს და კაპიტანი ტუჩკოვი მძიმედ დასჭრეს,—ხუთის საათის შემდეგ გარდაიცვალა. პორუჩიკი სმირნოვი თეძოში დასჭრეს. ისეთი საშინელი ზარბაზნის სროლა იყო ატეხილი, რომ ბრძოლის ველს ბოლი ასდიოდა ყუმბარებისაგან, დედა-მიწა ისე იყო აჩიჩქნილი, თითქო გუთნით მოუხნავთო.

„პრავიტ. ვესტნიკ"-ის კორესპონდენტი იუწყება: ვაფანგოუსთან დაჭრილები ლიაოიანში რკინის გზით მოიყვანეს. საღამოს 8 საათზე მანჯურიის ჯარის სარდალი გენ. კუროპატკინი მოვიდა, ყველა დაჭრილი აფიცერი და ჯარის-კაცი დაათვალიერა და ჯილდოები დაურიგა. მთავარ-სარდალმა ჰკითხა ერთ დაჭრილ სალდათს:

— თქვენი როტა სად იდგა ბრძოლის დროს?

— მარჯვენა ფრთის ბოლოში, თქვენო მაღალ-აღმატებულებავ.

— მტერმა წრე შემოგავლოთ?

— დიახ, ძლივს დავახწიეთ თავი...

— რატომ დროზე არ წამოხვედით უკან?

— ბძანება არ მიგვიღია... ალბად ჩვენი როტა ყველას დაავიწყდა, მეტად შორს იდგა... ჩვენ თავად წამოსვლა-კი ვერ გავბედეთ.

— მაშ როგორღა წამოხვედით?

— ბატალიონის უფროსის ადიუტანტი მოვიდა და გვითხრა: „წამოდითო". ჩვენც წამოვედით, თუმცა მარჯვნივ, მარცხნივ და ზურგიდან იაპონელები გვედგნენ.. ღმერთმა დაგვიხსნა, თქვენო მაღალ-აღმატებულებავ.

— მართალია, ღმერთსაც უშველია, მაგრამ თქვენც ყოჩაღები ჰყოფილხართ...

ახალი ამბავი

◆ კავკასიის სამკურნალო გამგეობა იწვევს ექიმებსა და ფერშლებს **სპარსეთში ხოლერასთან საბრძოლველად**, აგრეთვე ერევნის გუბერნიაში საჭირო სასანიტარო ზომების მისაღებად. სპარსეთში ექიმები და ფერშლები გაიგზავნებიან ხამადან-კაზვინის გზაზე, რომელიც ეხლა გაჰყავთ.

◆ კავკასიის სამკურნალო საზოგადოებამ თანხმობა განაცხადა ტფილისის ქალაქის სასანიტარო კომისიის წინადადებაზე ქართულსა, რუსულსა და სომხურ ენებზე **ხოლერის შესახებ** ლექციების კითხვის მოწყობის შესახებ. როგორც საზოგადოების გამგეობა ატყობინებს კომისიას, პირველი ლექცია ქართულ და რუსულ ენებზე გაიმართება შაბათს, 10 ივლისს, ავჭალის სახალხო აუდიტორიაში, ხოლო მეორე ლექცია ქართულსა, სომხურსა და რუსულს ენებზე ავლაბარში, არაქიანის თეატრში კვირას, 11 ივლისს.

◆ 6 ივლისს, გუბერნატორის თავმჯდომარეობით, მოხდა **საგუბერნიო სასანიტარო კომისიის** სხდომა. კომისიამ, სხვათა შორის, დაადგინა მტკვრის მარჯვენა ტოტის დასასუფთავებლად დაკეტოს პაპკოვის წისქვილი, სადაც ტოტზე კედელია გავლებული და მოშალოს კედელი, რომ მტკვრის მარჯვენა ტოტში წყალი თავისუფლად მიმდინარეობდეს.

◆ სოფელ მუხრანში საუფლისწულო მამულში (მუხრან-ბატონისეულში) **ფილოქსერა გაჩენილა.** კავკასიის საფილოქსერო კომიტეტი ამ დღეებში მუხრანს საფილოქსერო დასსა ჰგზავნის.

◆ ტფილისის **სამასწავლებლო ინსტიტუტში** მისაღები ეგზამენები მოხდება 23 აგვისტოს. ამ ინსტიტუტთან არსებულ საქალაქო სკოლაში, ვაკანსიის უქონლობისა გამო, წელს არავის მიიღებენ.

◆ ივლისში ჭიათური შტოზე **შავი-ქვის გადასაზიდად**, როგორც შავი-ქვის მრეწველთა კომიტეტის თავმჯდომარეს უცნობებია ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობისათვის, საჭიროა 6,000 ვაგონი.

◆ კავკასიის **სამოსწავლო ოლქის მზრუნველი** მ. რ. ზავადსკი საზაფხულოდ ქობულეთს წავიდა.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობის წევრი ბ-ნი კოკჩაევი ამზადებს თურმე გამგეობაში წარსადგენად მოხსენებას ქალაქის **სავაჭრო სამეურნეო პოლიციის უმოქმედობის** შესახებ. როგორც ბ-ნი კოკჩაევი აღნიშნავს, ეს პოლიცია დრო გამოშვებით არ ათვალიერებს სავაჭრო დაწესებულებებს, თვალყურს არ ადევნებს სავალდებულო დადგენილებებს, არა ჰკრიფავს რიგზე ფულს, არ ადგენს ოქმებს; პოლიცია ხშირად თავის ნებითაც-კი აძლევს მაურველთ ადგილებს სხვა-და-სხვა საწყობების გასამართავად.

◆ ქალაქის მესამე ნაწილის სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის ზედამხედველმა აცნობა გუშინ მოურავის მოადგილეს, რამდენჯერმე შევატყობინე გამგეობას, რომ **ნაძალადევში ბევრნი ისაკუთრებენ** ქალაქის ადგილს და სახლებს აშენებენ, მაგრამ გამგეობა აქამდე ყურადღებას არ აქცევსო. ზედამხედველი სწერს, საჭიროა გამგეობამ ამის შესახებ იღონოს რამეო.

◆ ამიერ-კავკასიის **რკინის გზაზე საავადმყოფოებისა**, აფთიაქებისა და დროებით გამართულ სამკურნალოების დასათვალიერებლად მოდის შინაგან საქმეთა სამინისტროს სამკურნალო საბჭოს წევრი ექიმი გოლოვინი.

◆ **თელავი.** 3 ივლისს, შუადღისას სოფ. ყვარელიდან თელავში მიმავალ დილიჟანს, ალაზნის გზაზე, 'შუა-ქალაში', ძველ ბოგირთან გადასდგომია 8 კაცი და უბრძანებია, დადექითო. მეეტლეს რა დაუნახავს ავაზაკები, გამოურეკია ცხენები და თავი დაუხწევია. იმავე დღეს, დილით, იმ ადგილას უნახავთ ერთი მწოლიარე კაცი ბერდანით. ამას გარდა, ერთ ხარაზისთვის 3 მ. წაერთმიათ და ხელშიაც დაეჭრათ. როგორც ამბობენ, ერთი ლეკიც გაუძარცვავთ. ერთ დალალს და ზოკსაც დახვედროდნენ ამავე დღეს. ბოროტ-მომქმედთა შორის ორი უცვნიათ. ერთი 29 აპრილს რომ ს. კურდღელაურში ლუხუტაშვილს თავს დაეცნენ, იმათგანია, მეორე კიდევ ამ რამდენისამე წლის წინად ადმინისტრაციის წესით გადასახლებული. ორი მეორე დღეს შეიპყრეს.

◆ დუშეთის მაზრის სოფელ ჩიმღას მცხოვრებნი ბერდია გაბური და იმისი შვილი ივანე და გოგია თეთრაული განვლილ ზამთარს ქალაქ დუშეთში წასულან ახიელის [illegible] ხიდზე. ეხლა, როგორც იმათ ნათესავებს განუცხადებიათ, სამივე სადღაც უკვალოდ დაკარგულა. ჰფიქრობენ, ზვავმა მოიყოლა ქვეშ.

◆ ტფილისის გუბერნიის სასანიტარო კომისიამ 6 ივლისს, სხვათა შორის, განიხილა მოხსენება წყალთა პირველ ნაწილის მერაბისა „ბუმეცია" არხის შესახებ. კომისიამ დაადგინა, მოსცენ სავალდებულო დადგენილებანი, რომლის თანახმადაც სახლის პატრონებს ევალებათ სუფთად შეინახონ თავიანთ სახლების წინ ეს არხი.

◆ პოლიციის მესამე ნაწილში, ლონდონის სასტუმროს მოსახვევთან, მეეტლემ №-48 დაატაკა ეტლი პოლიციელს კოტლიაროვსკის, წააქცია და ზედ გადაუარა. პოლიციელი ისე დაშავდა, რომ მიხეილის სამკურნალოში გაჰგზავნეს.

◆ 5 ივლისს საინჟინერო ქუჩის მხრიდან მტკვარზე წყლის დასალევინებლად ცხენები ჩაუყვანიათ ალექსანდრეს, მიხეილსა და იოსებ ფხაკაძეებს. ცხენები ისე ღრმა ადგილებში დაუთრევია, რომ წყალს წაუღია. კარგა ხანს ბრძოლის შემდეგ ფხაკაძეები გადარჩენილან, ცხენები კი წყალს წაუღია და დაუხრჩვია.

◆ ტფილისის სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის უფროსმა ზედამხედველმა სთხოვა ქალაქის გამგეობას მესამე მესასწორე დანიშნოს მოედანზე, რადგან ორი კაცი დიდ-ძალ ხორბლეულს აწონვას ვერ ასდისო.

◆ ტფილისის სასანიტარო კომისიამ სთხოვა კავკასიის საინჟინერო დისტანციას, ნება მისცეს ქალაქის ქუჩების მოსარწყავად ისარგებლონ სოლოლაკის სარწყავ არხით, რადგან ქალაქის ამ ნაწილში მტკვრის წყლის ატანა ძლიერ ძნელია თურმე.

◆ სადგ. შამხორი. 5 ივლისს, შუადღის 12 საათსა და 28 წუთზე, როდესაც საქონლის მატარებელი №-219 სადგურში შედიოდა, ვიღაც უცნობმა კაცმა მოინდომა ლიანდაგზე გადასვლა, მაგრამ მატარებელ ქვეშ მოჰყვა და გაიჭყლიტა.

◆ აჯიქაბული. 6 ივლისს, მატარებელი №-171 გაჩერდა გზის მე-691 ვერსზე, რადგან ორთქლმავალს რაღაც მოეშალა. მატარებელი 35 ვაგონისაგან შესდგებოდა. სადგურში მატარებელი სხვა ორთქლმავალმა მიიყვანა.

◆ სიღნაღის მაზრის სოფელ კაკაბეთში ისაკ კუპატაძე და თედო მარტიაშვილი ამოღებულ ხანჯლებით შეჰვარდნია ხალხში მელქო ავთანდილოვს. შეტაკების დროს კუპატაძეს ხელში დაუჭრია ავთანდილოვი.

◆ ივნისში ტფილისის მაზრაში უნახავთ გვამები დამხრჩვალთა: ნავთლუღის მახლობლად ვიღაც უცნობ ყმაწვილისა; ახალსოფლის მცხოვრებისა, რომელსაც იორში უბანავნია ღრმა ადგილას ჩასულა და დამხრჩვალა; კარადხალარის მახლობლად უნახავთ გვ[illegible] გორის მაზრის მცხოვრების მიხეილ ბახჩიევისა. [illegible]ლანი დაუმარხავთ.

—

დღევანდელ ნომერთან ერთად ხელისმომწერთ ურიგდებათ **სურათებიანი დამატება № 234.** შინაარსი: „მოაგარაკენი", ან. ჩეხოვისა, თარგ. გ. ახალციხელისა, „ძაღლთან მუსაიფი", ან. ჩეხოვისა, თარგ. სიკვესი; სურათები: ექიმი თოფურია, ექიმ თოფურიას დასაფლავების პროცესიის სამი სურათი, ანტონ ჩეხოვი, გენერლები შტაკელბერგი და კონდრატოვიჩი და ორი კარიკატურა.

ქუთაისის ახალი ამბავი

◆ წელს ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში, სწავლა დაამთავრა 32 მოწ-

ფელეტონი

წერილები გერმანიიდან

I

საზოგადო შთაბეჭდილებანი. —რეაქციის ნიშნები.—Die Kieler Woche.

ვისაც გერმანიაში უცხოვრია, ის უთუოდ შეამჩნევდა, რომ გარეგანი მხარე აქაურ ცხოვრებისა სრულიად არ ამართლებს ჩვენს შეხედულებას ევროპაზე და კერძოდ გერმანიაზე. ჩვენ წარმოდგენილი გვაქვს, რომ აქ ცხოვრება სავსეა მრავალფეროვან ლამაზ სცენებით, ვფიქრობთ, რომ ქუჩებსა და სხვა ადგილებში დიდი მოძრაობაა, რომლის ცქერა ადამიანის ნერვებს კიდეც ჰქანცავს; გვგონია, საზოგადოდ ცხოვრების გარეგანი მხარე აქ იმდენად იზიდავს და იტაცებს ადამიანს, რომ მარტო ამისათვის შეიძლება გერმანიამ უზომოდ გაგვიტაცოს, მარტო ამისათვის შეიძლება იგი სანატრელს, საოცნებო ქვეყნად დავსახოთ. ჩვენი ფრიად ნაყოფიერი ოცნება ამ შემთხვევაში ძლიერ შორს მიდის და, ვინ იცის, რას არა ვფიქრობთ ამ ქვეყანაზე, ვინ იცის, როგორ არ ვამკობთ იმას...

მაგრამ, მოდიხართ თუ არა აქ, გერმანიის სატახტო ქალაქში, მაგალითად, რწმუნდებით, რომ ბავშვობიდანვე შეთვისებული და შესისხლხორცებული წარმოდგენა მოძრავ და მუდამ ლამაზ ცხოვრებაზე მხოლოდ ოცნების ნაყოფი ყოფილა, რომ ნამდვილად აქაც (ჩვენ მხოლოდ გერმანია გვაქვს მხედველობაში) თითქმის ისეთივე ერთფეროვნება, ისეთივე მოსაწყენი პროზა მეფობს, როგორც ჩვენშია, არა ევროპაში: ჰხედავთ უზარმაზარ სახლებს, სუფთა და განიერ ქუჩებს, მაგრამ ვერა ჰხედავთ მხოლოდ წარმტაც ცოცხალ ცხოვრებას, ვერ ამჩნევთ მხოლოდ გარეგან მოძრაობას. გაკვირვებული ხართ, ჰფიქრობთ, ალბად, სადღაც პროვინციალურ ქალაქში მოგვედით და არა ბერლინში, რომელიც სავსე უნდა იყოს, როგორც ჰფიქრობდით, მრავალ ლამაზ სანახავებით განცვიფრებთ საკვირველი ერთფეროვნება ყველაფრისა, თქვენი შთაბეჭდილებანი ძლიერ ნაკლებად იცვლება, რადგან ყველაფერი ერთ და იმავე კალაპოტზეა ჩამოსხმული, რადგან გარეშემო მხოლოდ ერთსა და იმავეს ჰხედავთ. ქუჩებში ხალხი არ არის (უმთავრესს ქუჩებში რაღაც ათიოდე კაცი თუ დადის); თავს გაბეზრებთ ვიღაც უმნიშვნელო და უცნობ მთავრებისა და თავადების ძეგლები, რომლითაც სავსეა ქუჩები, გწყინთ, რომ არ მოიპოვება არც ერთი სახეირო ძეგლი უდიდეს გერმანელ მეცნიერთა და განათლებულ კაცობრიობის დამამშვენებელ ფილოსოფოსთა, რომლითაც გერმანია სამართლიანად ამპარტავნობს.

ყველა ეს, რასაკვირველია, კარგად არ მოქმედებს ახალ მოსულზე; თანდათან რწმუნდებით, რომ თქვენი წარმოდგენა გერმანიის მრავალფეროვან ცხოვრებაზე სინამდვილესთან ძლიერ დაშორებული ყოფილა. გაეცნობით თუ არა ახლო აქაურობას, კიდევ უფრო ნათლად დაინახავთ თქვენს შეცდომას: შეამჩნევთ, რომ გარეგანი სიმშვიდე და აუჩქარებლობა, გარეგან ეფექტებისადმი ანტიპატია გერმანელ ხალხის ეროვნული თვისება ყოფილა, რომ ამ განსაკუთრებულ თვისების შემჩნევა ყველგან (ქუჩასა და პოლიტიკურ კრებებზე და აგრეთვე მეცადინეობის დროს) ძლიერ ადვილია, მოკლედ რომ მოგჭრათ, აქ არ არის ქუჩა, არ არის ისეთი მოძრავი და მრავალ-ფეროვანი ცხოვრება ქუჩებში, როგორც ევროპის სხვა ცენტრებშია. ასეთია გერმანიის სატახტო ქალაქი ბერლინი.

ზემოდ ნათქვამი, რასაკვირველია, შეეხება მხოლოდ გარეგნობას, ცხოვრების ფორმას და არა შინაარსს. პოლიტიკურ მდგომარეობის მხრივ კი, რა თქმა უნდა, აქ, როგორც თავისუფალ ქვეყანაში, ჩვენთვის ბევრი რამ განსაცვიფრებელი და გაუგებარია, ბევრი რამ ფრიად საყურადღებო და საინტერესოა. ამ შემთხვევაში მართლდება ჩვენი მოლოდინი, ამ შემთხვევაში სამართლიანად ითქმის, რომ აქ ცხოვრება დუღს და გადმოდის: სულ სხვა წყობილება, სულ სხვა მართვა-გამგეობა, სხვანაირი საზოგადოებრივი დამოკიდებულებანი და დაწესებულებანი. ყველა ეს ქართველს აოცებს. პარლამენტარიზმი თითქმის ყველაფერს თავისებურ დაღს ასვამს, ყველგან და ყოველთვის გვატყობინებს, აქ მე ვარ ბატონიო. და ამიტომ გასაკვირველიც არ არის, თუ აქაური მრავალშინაარსიანი პოლიტიკური ცხოვრება გვაოცებს და პირველად გზასა და კვალსაც კი გვიბნევს. შეგიძლიათ მხოლოდ იგრძნოთ, რომ ახალ ქვეყანაში ხართ. რეიხსტაგი, რომელიც სწყვეტს სახელმწიფოს ბედ-იღბალს, თავისუფალი პოლიტიკური კრებები, რომლებზედაც ულმობელ კრიტიკის ქარ-ცეცხლში ატარებენ ადგილობრივ დაწესებულებათა მოქმედებას, პოლიტიკური პარტიები და მათი ორგანიზაცია, მოქალაქეთა გამბედავი, შეუდრეკელი და თავმომწონე გამომეტყველება და მრავალი სხვა თქვენთვის ახალი ხილია და ამების შესახებ ბევრიც რომ გცოდნოდათ, მაინც ყველა ეს გამოურკვეველ მდგომარეობაში ჩაგაყენებდათ.

დიახ, დიდი განსხვავებაა ჩვენის ქვეყნისა და გერმანიის შორის. მაგრამ არა ნაკლები განსხვავებაა გერმანიის და ევროპის სხვა თავისუფალ ქვეყნებს შორის. რამდენადაც გერმანელი ხალხი თანდათან თავისუფლებას ეჩვევა, რამდენადაც იგი უფრო და უფრო შეურიგებელი მტერი ხდება თვითნებობისა და არამკითხე მზრუნველობისა, რამდენადაც იმის ცნობიერებაში თანდათან ვითარდება დამოუკიდებელ ცხოვრებისადმი სიყვარული და მისწრაფება, ერთის სიტყვით, რამდენადაც მისთვის ბრძოლით მოპოვებული პოლიტიკური თავისუფლება ტრადიციად ხდება, იმდენად გე[illegible] მთავრობა უკან-და-უკან იხევს, იმდენა[illegible]რიევი უფრო და უფრო ჰფიქრობს პოლიტიკურ [illegible] უკუღმა გადაბრუნებას და ხალხის თავის[illegible] ხალხმა მისწრაფებისათვის ფრთების მ[illegible]

ებ; ამათგან რამდენსამე მოწაფეს შარშან ქონდა გათავებული სასწავლებელი, ზოგიერთი საუკეთესო მოწაფეთა რიცხვსაც ეკუთვნოდა; მაგრამ, რადგან შეძლება ნებას არ აძლევდა სახელმწიფო გიმნაზიებში გადასულიყვნენ და იქ არც თავისუფალი ადგილები იყო, მეორე წელს დარჩნენ მეოთხე კლასში იმ იმედით, რომ მომავალს წელში სასწავლებელთან მეხუთე კლასი გაიხსნებოდა. ეხლა 12 მოწაფე სრულიად დარწმუნებულია, რომ მომავალს სამოსწავლო წელში სასწავლებლის მეხუთე კლასში ექნებათ ადგილი. და ეს უთუოდ ასეც უნდა მოხდეს. მოგეხსენებათ, შარშანაც იყო აღძრული შუამდგომლობა მთავრობის წინაშე მეხუთე კლასის გახსნის შესახებ, მაგრამ სამინისტრომ არ მიიწყნარა შუამდგომლობა: „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ ნება არა აქვს პროგიმნაზიული კლასები იქონიოსო. სამინისტროს უკანასკნელს მოწერილობაში ნათქვამია: სამინისტრო შესაძლებლად ნახულობს დააკმაყოფილოს შუამდგომლობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პროგიმნაზიული კლასები ჩამოერთმევა „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ და თავად-აზნაურობას გადაეცემა და სხვა. თავად-აზნაურთა საზოგადო კრებამ სიტყვა-სიტყვით შეასრულა სამინისტროს მოწერილობა: სასწავლებელი ჩამოართვა „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას და თავად-აზნაურობას გადასცა, ამოარჩია სასწავლებლის პასუხის მგებელ გამგედ ი. ი. ოცხელი, ამოარჩია სამზრუნველო კომიტეტი, სააადგილ-მამულო ბანკს გადაადებინა სასწავლებლის შესანახად საჭირო თანხა და სხ. კრების დადგენილება, როგორც კანონი მოითხოვდა, ეცნობა სამოსწავლო ოლქის მზრუნველს. ქუთაისში-კი ხმა გავარდა—და ეს ხმა უფრო და უფრო ვრცელდება,—ვითომც ოლქის მზრუნველი მეხუთე კლასის გახსნის წინააღმდეგი იყოს. ასეთი ხმები, რასაკვირველია, ყოველს საფუძველს მოკლებულია და არც არავინ დაიჯერებს, ვინც საქმის გარემოება კარგად იცის, მაგრამ, სიმართლე მოგახსენოთ, მარტო ხმებმაც-კი წელი მოსწყვიტა ქუთაისის თავად-აზნაურობას.

◆ ქალაქის გამგეობა თითქმის ყოველ დღე იწვევს ხმოსნებს კერძო სხდომებზე, რომ მოილაპარაკონ შესახებ იმისა, თუ რა პირობებით შეუძლია ქალაქს თავის თავზე გადაიტანოს სამსონ თოფურიას საავადმყოფო. საავადმყოფოს, როგორც გავიგეთ, 100,000 მანეთამდის ვალი ჰქონია; აქედან 75,000 მანეთი ქუთაისის სააადგილ-მამულო ბანკის ვალია, დანარჩენი კერძო პირებისა. განსვენებულის ჭირისუფლები, როგორც გავიგეთ, ისეთ პირობებს სდებენ, რომ იმ პირობებით ქალაქისთვის საავადმყოფოს თავის თავზე გადატანა შეუძლებელი ხდება. დროებით საავადმყოფოს მზრუნველად დაინიშნა ქალაქის სასანიტარო ექიმი ი. ი. ჩარექვი.

◆ ქალაქის გამგეობას კიდევ შემდეგი სამძიმრის დეპეშები მოუვიდა სამსონ თოფურიას გარდაცვალების გამო: „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობისაგან, პროფესორის ზელინსკისაგან (მოსკოვიდან), ბათომის ქალაქის თვითმმართველობისაგან, ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებლიდან, დ. გედევანოვის სამკურნალოს ექიმებისაგან, ხონის საზოგადოებისაგან; კერძო დეპეშები: საბუნჩიდან, ტფილისიდან, თელავიდან, ქარელიდან, კასპიდან, ფოთიდან, ზუგდიდიდან, სოხუმიდან, ბათუმიდან და სხვა.

რუსეთის ქრონიკა

◆ გაზ. „ნოვოე ვრემია“-ს სწერენ ციმბირის ქ. იაკუტსკიდან, რომ იქაური ოლქის სასამართლო ამ მოკლე ხანში განიხილავს საქმეს ადმინისტრატიულ წესით გადასახლებულ 57 კაცის შესახებ, რომელთაც მიმდინარე წლის მარტში იარაღით წინააღმდეგობა გაუწიეს მთავრობის მოხელეთ. ბრალდებულთა დამცველად იქნება დ. ი. პელიქოვი და კიდევ ევროპის რუსეთიდან ჩამოსული 5 ვექილი. მოწმეები—პოლიციის ყველა მოსამსახურეებია და 100-მდე გარეშე კაცი.

◆ ფოსტა-ტელეგრაფის მთავარ-გამგეობამ შეადგინა ინსტრუქცია, ახალ კანონის თანახმად, ფოსტა-ტელეგრაფის სამსახურში ქალების მიღების შესახებ. ამ ინსტრუქციის ძალით მიიღებენ სამსახურში არა მარტო იმ ქალებს, რომელთაც უმაღლეს ან საშუალო სასწავლებლის კურსი დაუსრულებიათ, არამედ, რომელთაც გიმნაზიისა ან გიმნაზიის თანასწორ სასწავლებელში 4 კლასი დაუსრულებიათ ან ამ 4 კლასის ეგზამენი დაუჭერიათ. უპირატესობა ექნებათ გაუთხოვარ და უშვილო ქვრივ ქალებს. სამსახურში მიღებულთ, სანამ საქმეს შეისწავლიდნენ, ჯამაგირს არ დაუნიშნავენ. უცხო ენების უცოდინარ ქალთ თავისუფალ-დაქირავებულ მოსამსახურეებად ჩარიცხვენ, მე-6 კლასის მოხელეთა ჯამაგირით და სამსახურის დაგვარად დააწინაურებენ; უცხო ენების მცოდნე ქალები კი სახელმწიფო სამსახურში ჩაითვლებიან, მე-5 ხარისხის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეებად და მოსამსახურე მამაკაცებთან თანასწორად დააწინაურებენ. მოსამსახურე ქალებს არ დაავალებენ ფოსტის შეკვრას და არ გააყოლებენ ფოსტას. მშობიარე ქალებს გაანთავისუფლებენ სამსახურიდან ერთი თვის ვადით, ჯამაგირით.

◆ რუსეთის გაზეთები იუწყებიან, რომ, ახალ კანონის თანახმად, 2 ივლისიდან შემოღებული იქნება ქარხნებისა და სამთო მრეწველობის მუშების სავალდებულო დაზღვევა.

◆ „ფინლიანდ. გაზ.“-ი იუწყება, რომ ხელმწიფე იმპერატორის ბრძანებით, ფინლიანდიის გენერალ-გუბერნატორის ბობრიკოვის მკვლელობის შესახებ გამოძიება დაევალა პოლიციის დეპარტამენტს. ფინლიანდიის სენატის განკარგულებით, ფინლიანდიის ყველა უწყების მოხელენი ვალდებულნი არიან დახმარება აღმოუჩინონ საქმის გამოსაძიებლად გამოგზავნილ პოლიციის დეპარტამენტის მოხელეთ.

◆ სევასტოპოლიდან სწერენ გაზ. „რუსკ. სლოვო“-ს, რომ იქ ამას წინად ერთი „იაპონელი“ დაუტყვევებიათ, რომელიც გემ „ცესარევიჩ გიორგი“-თ მოსულა. გემზე რომ იყო, მგზავრ აფიცრებს თვალ-ყური უდევნებიათ მისთვის და სევასტოპოლში პოლიციისთვის უცნობებიათ. პოლიციელები გამოსდევნებიან „იაპონელს“ და ადმირალ კოლტოვსკის ცოლის სახლში თავს დასხმიან იმ დროს, როცა შორეულ აღმოსავლეთიდან მოსული სტუმარი საუზმეს სჭამდა დიასახლისსთან ერთად. უკანასკნელი მედგარი პროტესტით დაუხვდა პოლიციელთ, მაგრამ ვერაფერი გააწყო... მისი სტუმარი პოლიციაში წაიყვანეს, სადაც ჩვენება ჩამოართვეს. —„თქვენ იაპონელი ხართ?“—ჰკითხა ბოქაულმა. „არა, მე რუსი ვარ.“—„შეუძლებელია! სახით ნამდვილი იაპონელი ხართ! გირჩევთ გამოტყდეთ!—„მართალსა ბრძანებთ, სახე იაპონელისა მაქვს, მაგრამ მაინც რუსი ვარ“.

„იაპონელმა“ რუსმა უამბო პოლიციელთ თავისი ამბავი: მე-60 წლებში ადმირალ კოლტოვსკის, ისპონიაში მოგზაურობის დროს, უპოვნია მიგდებულ 4 წლის იაპონელი ბავში, რუსეთში წამოუყვანია, მოუნათლავს, უშვილნია და თავის ოჯახში გაუზრდია და, რომ დავაჟკაცებულა, სამსახურში შეუყვანია. „იაპონელის“ სახელი და გვარი ამ ჟამად სერგეი იოსების ძე დოლგორევია და ცოლად რუსის ქალი ჰყავს. პოლიციამ გამოიძია საქმე, „იაპონელის“ ნათქვამი მართალი გამოდგა და იგი დაუყოვნებლივ გაანთავისუფლეს.

◆ ციმბირის გაზეთები იუწყებიან, რომ იმიერ ბაიკალის მხარის მცხოვრებლები დიდ გაჭირვებაში ჩავარდნილან და შიმშილობას ითმენენ. დამშეულთ სესხად მისცეს 400 ათასი ფუთი პური, რომელიც უკვე დახარჯულა და მცხოვრებლები ისევ საჭიროებენ სესხს. კარგი მოსავალიც რომ მოვიდეს, ხალხი მაინც ვერ გასტუმრებს ამ ვალს, რადგან, თესლის უქონლობის გამო, მხოლოდ ნახევარი ადგილები დაუთესია. ზოგიერთ ადგილებში შიმშილობას უკვე ჩვეულებრივი სამწუხარო შედეგი მოჰყოლია: სურავანდი და სხვა მძიმე სნეულებანი.

◆ „ბირჟ. ვედ.“-ის სიტყვით, არქიეპისკოპოსს გურის ნოვგოროდში, შორეულ აღმოსავლეთში გასაგზავნ ჯარების კურთხევის დროს, უბედურება შემთხვევია. მოედანზე ჯარკისათვის ფეხი წაუკრავს, დაცემულა და ძლიერ დაუშავებია თითები და მარჯვენა მუხლი. არქიეპისკოპოსი, 70 წლის მოხუცი, ამ ჟამად ისე დასუსტებულია თურმე, რომ სახლიდან ვერ გამოდის.

◆ საერო განათლების მინისტრმა, გენერ. ლეიტ. გლაზოვმა, მიიწვია 7 აგვისტოსათვის პეტერბურგში სათათბიროდ ყველა სამოსწავლო ოლქის მზრუნველნი.

◆ 14 ივნისს შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი ბ. ზინოვიევი ქ. ვიატკაში მისულა ადგილობრივ საერობო დაწესებულებათა სარევიზიოდ.

◆ ქ. სარატოვიდან სწერენ გაზ. „ნოვ. ვრ.“-ს, რომ ადგილობრივმა საგუბერნიო ერობამ საგანგებო კრებაზე დაადგინა, გადასდოს 15 ათასი მანეთი ომში დაჭრილთა და ავადმყოფთათვის შემწეობის აღმოსაჩენად. სარატოვის გუბერნატორს მოწერილობა გაუგზავნია ერობის გამგეობისათვის იმის შესახებ, რომ შეჩერებულ იქნას ერობის დადგენილების ასრულება.

პრესსა

„მოსკოვ. ვედომ.“-ში მოყვანილი და განმარტებულია ახალი კანონი პოლიტიკურ დანაშაულობის საქმეთა შესახებ. გაზეთი ჯერ მოგვითხრობს ამ კანონის ისტორიას:

> იმპერატორის ალექსანდრე მეორის სასამართლო დებულებათა ძალით, პოლიტიკურ დანაშაულობის საქმეთა გარჩევა მინდობილი ჰქონდა სამს დაწესებულებას: უფრო მცირე საქმეები—სასამართლო პალატებს წოდებათა წარმომადგენელების მონაწილეობით; უფრო მძიმე საქმეები—უმართებულეს სენატის საგანგებო საკრებულოს; განსაკუთრებულს შემთხვევებში-კი, უმაღლესის ნებართვით, შედგენილი უნდა ყოფილიყო სისხლის სამართლის უმაღლესი სასამართლო (Верховный уголовный судъ).

ასე რომ, თავდაპირველად, პოლიტიკურ დამნაშავეთათვის სასამართლოს წეს-რიგი იქმნა დაწესებული და ისიც სამოქალაქო სასამართლოსი. მაგრამო, განაგრძობს გაზეთი,

> მალე გარემოებანი შეიცვალნენ: მე-70 და მე-80 წლებში ისეთი საზიზღარი და შემაძრწუნებელი პოლიტიკური ბოროტ-მოქმედებანი მოხდა, რომ აუცილებლად საჭირო შეიქნა დადგენილ წესის შეცვლა. იმ დროდან პოლიტიკურ დანაშაულობის საქმეების გარჩევა უმეტეს შემთხვევაში სამხედრო სასამართლოს ევალებოდა; ეს სასამართლოებიც ამგვარ საქმეების გარჩევის დროს ხელმძღვანელობდნენ ომის დროის კანონებით.

ამგვარად, წინანდელ სამ სასამართლო დაწესებულებას მეოთხეც მიემატა: სამხედრო სასამართლო, რომელმაც მალე ამ საქმეში უპირატესი ადგილი დაიჭირა. მაგრამ, განაგრძობს გაზეთი:

> სიმართლე მოითხოვს ვთქვათ, რომ სწორედ მე-80 წლებიდან პოლიტიკურ დანაშაულობის საქმეები უმეტეს შემთხვევაში ადმინისტრატულის წესით სწყდებოდა და სასამართლომდის არც-კი აღწევდა ხოლმე. მხოლოდ მძიმე საქმეები თუ მიაღწევდა სამხედრო სასამართლომდე, თორემ დანარჩენებს თვით ადმინისტრაცია აწარმოებდა. უკანასკნელ დროებში ეს ადმინისტრატული საქმის წარმოება ასე იყო დაყენებული: ჟანდარმთა კორპუსის მოხელენი გამოიძიებდნენ საქმეს და შემდეგ წარუდგენდნენ მას სასამართლო პალატის პროკურორს; ეს, თავის დადგენილებით, საქმეს იუსტიციის სამინისტროში ჰგზავნიდა. [illegible] საქმე გადადიოდა განსაკუთრებულ საბჭო[illegible] მელიც შინაგან საქმეთა სამინისტროსთან [illegible]აარსებული საგანგებოდ პოლიტიკურ საქმეებისათვის. ეს საბჭო თავის აზრს გამოსთქვამდა და საქმეს ისევ იუსტიციის სამინისტროს უბრუნებდა. ბოლოს, იუსტიციის მინისტრი უმაღლეს ნებართვას

ასეთ ძნელად შესასრულებელ საქმის შესრულება [illegible]ნდაა დღეს აქაურ მთავრობას, რომელიც ამ ბოლო დროს უფრო ევროპიელისათვის გასაოცარ ამბებს სჩადის და რომელიც კიდევ უფრო საარაკო საქმეთა ჩადენას ჰფიქრობს. მთავრობას ჰსურს როგორმე შეაჩეროს მუშათა დასის ზრდა. მკითხველს ეცოდინება, რომ ამ ბოლო დროს გერმანიაში საშინლად განვითარდა სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა და, როგორც მოსალოდნელი იყო, ამ სწრაფ განვითარებასთან ერთად საშინლად იმატა რეიხსტაგში დასის დეპუტატების რიცხვმა. ამ ჟამად იგი ერთი უძლიერესი დასია გერმანიაში, რომლის ამომრჩეველთა რიცხვი უდრის სამ მილიონს. საზოგადოდ ამ დასის საკვირველი ზრდა ისეთის სისწრაფით მოხდა, რომ მართლაც ამ გარემოებამ მთელი ევროპა გაანცვიფრა. ჩვენ არა ერთხელ გვქონია შემდეგში აქაურ პოლიტიკურ პარტიების შესახებ ბაასი და ამიტომ შემდეგ უფრო დაწვრილებით გავაცნობთ მკითხველს გერმანიის დემოკრატიულ პარტიებს. ახლა კი აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ სწადიათ შეაჩერონ ეს ორგანიული ზრდა დემოკრატიისა, სურთ რეპრესიული ზო[illegible] ორგანიზაციების წინააღმდეგ. დიდი [illegible] რაც ოფიციალურ სფერიდან ისმის, რომ [illegible]ობას უნდა განაახლოს ეგრედ წოდებული [illegible]კუთრებული კანონი სოციალისტების წინააღმდეგ“ და სხ. [illegible] ეს ხმები თანდათან მართლდება.

მაისში, მაგალითად, მან აუკრძალა მუშებს პირველ მაისის დღესასწაული, რამაც ძლიერ აადელვა გერმანიის მშვიდი და წყნარი მშრომელი, გააძევა გერმანიის საზღვრებიდან ათამდე უდანაშაულო სტუდენტი. ამ შემთხვევამ ძლიერ ააფორიაქა საზოგადოების ყველა ნაწილი უკიდურესს კონსერვატორთა გარდა, ბევრი ილაპარაკეს რეიხსტაგშიაც, ახლაც ბევრს ბჭობენ, მაგრამ ბიუროკრატიულმა მთავრობა მაინც თავისი ჰქნა.

ამ ბოლო დროს კი ერთმა მინისტრმა პირდა-პირ განაცხადა, რომ საყოველთაო საარჩევნო უფლება, რომელიც ამდენს ხანს ხელ-უხლებელი იყო, უნდა შეიცვალოსო. როგორ და რისთვის უნდა მოხდეს ასეთი რეფორმა, ადვილი მისახვედრია. როგორც მოსალოდნელი იყო, ამ ამბავმა მთელი გერმანია აახმაურა, მთელი პრესსა აალაპარაკა. საზოგადოების საუკეთესო ნაწილი—დემოკრატია და თავისუფალი მოაზრენი—რა თქმა უნდა, დიდ პროტესტს აცხადებენ ამ განსაცვიფრებელ ამბის გამო. მათ დაუჯერებლად მიაჩნიათ, რომ მთავრობამ ასეთი საქმე ჩაიდინოს სხვა არა იყოს-რა, მთავრობის მხრივ ეს დიდი პოლიტიკური შეცდომა იქმნება. იმათის აზრით, ასეთი მოქმედება გაადიდებს მუშათა ორგანიზაციებს და მათ პოლიტიკურ ძალას, უფრო გაამწვავებს მათ და მთავრობას შორის განწყობილებას, უფრო დაასუსტებს მთავრობას და სამუდამოდ დაუკარგავს ნდობას ხალხში. თავისუფალ მოაზრეთა აზრით, მხოლოდ ფართო სოციალური და პოლიტიკური რეფორმები, მხოლოდ კულტურული „დათმობითი“ პოლიტიკა შეასუსტებს მებრძოლ უკიდურესს დემოკრატიის მძლავრ პროტესტს. რასაკვირველია, არავის არ შეუძლიან იწინასწარმეტყველოს, რომ მართლაც განხორციელდება მუქარა; მაგრამ ეს მოულოდნელიც არ უნდა იყოს იმისთვის, ვინც კარგად იცნობს პრუსიის მთავრობას. ცხადია, რომ დიდი განსხვავებაა მთავრობასა და ხალხს შორის, ცხადია, რომ მთავრობა ჩამორჩა ერს და ამიტომ იმათ ნაკლებად ესმით ერთმანეთისა.

სწორედ ამით აიხსნება, რომ შეუძლებლად სთვლიან ინგლის-გერმანიის დამეგობრებას. მოგეხსენებათ, ამ ჟამად ინგლისის მეფე ედუარდ VII გერმანიაში იმყოფება. გაზეთები ყოველდღე სავსეა ცნობებით ამ შემთხვევის გამო, რომელსაც kieler woche (კილის კვირა) დაარქვეს. ბევრს ბჭობენ, შეიძლება თუ არა ამ ორ დიდ სახელმწიფოს დაკავშირება, აქვს თუ არა პოლიტიკური მნიშვნელობა ინგლისის მეფის ვიზიტს. ყველას უხარიან, ყველას სასურველად მიაჩნია უძლიერეს სახელმწიფოსთან დაახლოვება, მაგრამ სერიოზული პრესსა, რომლის გატაცება სხვა-და-სხვა აუსრულებელ ილიუზიებით ძლიერ ძნელია, ერთხმად ამბობს, რომ კილში იმპერატორების შეხვედრა მხოლოდ კომედიაა, რომ შეუძლებელია მათი დამეგობრება. თუმცა გერმანიის იმპერატორმა კულტურულ ხალხთა დაკავშირების და სოლიდარობის შესახებ სიტყვა წარმოსთქვა, მაგრამ ამ სიტყვასაც მხოლოდ ილიუზიის, ოცნების ხასიათი აქვს.

ინგლისსა და გერმანიას მართლაც ნაკლებად აქვთ საერთო ინტერესები. ორივეს სულ სხვა-და-სხვა ნაირი პოზიცია უჭირავთ, მაგალითად, შორეულ აღმოსავლეთის საქმეში ერთი ინგლისელი საზღვაო საქმეთა კრიტიკოსი იმასაც-კი სწერს, რომ გერმანიასა ჰსურს დიდბრიტანიას ომი გამოუცხადოს და ამიტომ აძლიერებს ასე საშინლად თავის ფლოტსაო. ამას არც მთავრობა ჰმალავს, რომელსაც საჯაროდ აცხადებს, რომ ჩვენს ფლოტს უნდა შეეძლოს ზღვის უდიდეს სახელმწიფოსთან ომის გაწევაო. დემოკრატიული პრესსა ერთხელ კიდევ სარგებლობს შემთხვევით და ადარებს ორივე სახელმწიფოს მმართველობას. იმის აზრით, თუ გერმანიას ჰსურს უდიდეს სახელმწიფოს დაახლოვება, იმ სახელმწიფოს, რომელიც მართლაც ერთად-ერთი ნამდვილი თავისუფალი ქვეყანაა ევროპაში, მაშინ იმანაც უნდა შესცვალოს თავისი შინაური პოლიტიკა, თვითონაც თავისუფალი უნდა შეიქმნესო. პრუსიის ბიუროკრატიულ მთავრობისათვის-კი ყოვლად შეუძლებელია თავისუფალ ბრიტანიასთან დაკავშირება და საერთაშორისო კითხვების თანხმობით გადაწყვეტა. საზოგადოდ, არავინ არ აძლევს პოლიტიკურ მნიშვნელობას ინგლისის მეფის გერმანიაში მოსვლას.

ივ. რამიშვილი.

გამოითხოვდა ან საქმის მოსასპობლად ან დამნაშავის დასასჯელად.

ასე დაიხლართა პოლიტიკურ საქმეების წარმოება. უმრავლესი მათგანი წყდებოდა სასამართლოს გარეშე, სასამართლო დაწესებულებათა დაუხმარებლად, რაცა, დასძენს გაზეთი,

მუდამ იწვევდა და დღესაც იწვევს უკმაყოფილებას: ყველა ემდურის ადმინისტრაციას: პროცესების გარჩევა სასამართლოს საქმეა და არა ადმინისტრატულ დაწესებულებათა მოხელეების.

ახალი კანონი, „მოსკოვ. ვედ.“-ს სიტყვით, აწესრიგებს ამ არეულ-დარეულ საქმეს და ხსენებულს სამდურავს ადგილი აღარ ექნებაო. ამიერიდან პოლიტიკურ დანაშაულობის საქმეების გარჩევა ისევ სასამართლო პალატების გამგებლობაში გადავა, თუ ყველა არა, უმეტესი მაინცაო. ამისთვის გამოიცა ახალი კანონი 7 ივნისს, რომლის ძალით:

სასამართლო პალატა აწარმოებს პოლიტიკურ დანაშაულობის საქმეებს, როცა ამგვარ ბოროტმოქმედებისათვის ახალს დებულებაში სასჯელად დაწესებულია გამასწორებელ საპატიმროში (исправительный домъ) დამწყვდევაზე სხვა-და-სხვა უფრო მცირე სასჯელი; ხოლო თუ პოლიტიკურს დამნაშავეს უფრო მეტი სახჯელი მოელის, მაშინ საქმეებს აწარმოებს იგივე სასამართლო პალატა) მაგრამ გაძლიერებული (въ усиленномъ составъ, და წოდებათა წარმომადგენელების მონაწილეობით; განსაკუთრებულს შემთხვევაში-კი, უმაღლესის ნებართვით პოლიტიკურს საქმეებს გაარჩევენ უმართებელეს სენატის განსაკუთრებული საკრებულო ან სისხლის სამართლის უმაღლესი სასამართლო. „გაძლიერებულ“ სასამართლო პალატაში იქნებიან: გარდა ჩვეულებრივ რიცხვის პალატის წევრებისა, კიდევ ოთხი წევრი და ოთხიც წოდებათა წარმომადგენელნი—თავად-აზნაურთა საგუბერნიო და სამაზრო წინამძღოლები, ქალაქის თავი და სოფლის მამასახლისი. საქმის გარჩევა პალატას საჯაროდაც შეეძლება და ხალხის დაუსწრებლადაც, რაც მისს შეხედულებისაგან იქნება დამოკიდებული.

იმგვარად, ახალი კანონი თითქმის უბრუნდება ძველ წესს: პოლიტიკურ დამნაშავეთა საქმეები უმეტეს შემთხვევაში სასამართლო დაწესებულებებმა უნდა განიხილონ: მცირე საქმეები—ჩვეულებრივმა სასამართლო პალატამ, უფრო მძიმე საქმეები—გაძლიერებულმა სასამართლო პალატამ და განსაკუთრებულ მნიშვნელობის საქმეები—სენატის განსაკუთრებულმა საკრებულომ ან უმაღლესმა სამსჯავრომ. სულ უმნიშვნელო საქმეები ისევ ადმინისტრაციის ხელში დარჩება, ხოლო სამხედრო სასამართლოს არც ერთი საქმე აღარ გადაეცემა.

ომის დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

7 ივლისი

პეტერბურგი. 6 ივლისს შორეულ აღმოსავლეთიდან ოფიციალური ცნობები არ მოსულა.

მუკდენი. (საკუთ. კორ.). მიღებულ ცნობებით, აღმოსავლეთის მხარეზე მყოფმა რაზმმა 4 ივლისს, ღამე დაზვერა მტრის პოზიციები უღელტეხილებზე ლიაოიან-ფინხუანჩენის უმთავრესს გზაზე. რადგან აღმოჩნდა, რომ მტერს ჩვენზე მეტი ჯარი ჰყავდა, ჩვენმა რაზმმა დაიწია წინანდელ პოზიციებზე თხაუანთან და საბოლოო ბრძოლამდის საქმე არ მისულა. ჩვენი ზარალი ამ ბრძოლის დროს ათასს მოკლულსა და დაჭრილს აღემატება. ბრძოლა ნაშუადღევის 3 საათზე შესწყდა.

ტოკიო. („რეიტ. სააგ.“). 4 ივლისს რუსების მიერ მოტიენლინის უღელტეხილთან საერთო თავდასხმას სერიოზული ზარალი არ მოჰყოლია. რამდენიმე პატარა შეტაკება მოჰხდა. იაპონელთა მოწინავე რაზმებს მაგრად ეჭირათ პოზიციები, მაშველ ჯარს ელოდნენ და, როცა მოვიდა, შეერთდნენ, რუსების მოსაგერებლად. ამნაირად ხსიატენთან მოწინავე რაზმი, რომელზედაც მაზე უფრო დიდმა ჯარმა მიიტანა იერიში, მთელი დღე გაუმაგრდა მტერს. რუსების მხრივ საბრძოლველად წავიდა ქვეითა ჯარის ერთი ბატალიონი და ყაზახთა ერთი ესკადრონი; მოსულ მაშველ ჯართან ერთად რუსის ჯარი ერთი პოლკის ოდენა გაჰხდა. იაპონელთა რაზმი მტკიცედ იცავდა თავის პოზიციას. ყველა აფიცრები და სალდათების უმრავლესი ნაწილი დაუხოცეს და დაუჭრეს, ამის მიუხედავად ისინი განაგრძობდნენ ბრძოლას მაშველ ჯარის მოსვლამდის, რის შემდეგაც რუსები იძულებულნი გაჰხდნენ უკან დაწეულიყვნენ. რუსები ცდილობდნენ შემოევლოთ იაპონელთა ფრთისათვის, მაგრამ უკანასკნელ ეჭირათ მოტიენლინის უღელტეხილის მწვერვალი და მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს რუსებს, რომელნიც სცდილობდნენ უკუ ეგდოთ იაპონელები. როცა რუსებმა უკან დაწევა იწყეს, იაპონელები უკან გამოედევნენ იმათ; რუსების შვიდი ბატალიონი და თხაუანის სიმაღლეებზე დადგმული ზარბაზანი აბრკოლებდა მდევართ. გენერალი კუროკი იუწყება, რომ რუსებს ორი დივიზია ჰყავდა.

ლონდონი. („რეიტ. სააგ.“). გენერალი ოკუ ელის გაიჩოუში მაშველ ჯარს, რომელიც ნაპირზე გადმოდის და იაპონიის შვიდი კრეისერი იფარავს. პორტ-არტურის ჩრდილოეთითაც იაპონელებს ახალი ჯარები გადმოჰყავთ. ამ კვირის განმავლობაში საყურადღებო ამბები უნდა მოხდეს.

სუეცი. („რეიტ. სააგ.“). 7 ივლისს ცლიან გერმანიის გემს „სამბია“-ს, რომელიც რუსებმა გააჩერეს. ირწმუნებიან, რომ „მალაკა“-ზე მთავრობის კუთვნილი 300 ტონი საქონელი იყო, გონკონგში გაგზავნილი.

ჩიფუ. („რეიტ. სააგ.“) აქ მოვიდა პორტ-არტურიდან ჯონკა 8 რუსითა და 50 ჩინელით. რუსები არაფერს ამბობენ, ჩინელების სიტყვით კი 4 ათასმა იაპონელმა დაიჭირა 28 ივნისს ერთი სიმაგრე სიმაღლეზე ქალაქის ახლოს, მაგრამ რუსებმა ალყა შემოარტყეს იაპონელებს და ნაღმები ააფეთქეს; იაპონელები ყველანი დაიღუპნენო. ამბობენ აგრეთვე, რომ წასვლის წინადღით რუსეთის ნაღმიანმა გემმა იერიში მიიტანა პორტ-არტურის ახლოს უცხოელ გემზე, რომელიც იაპონიის სატრანსპორტო გემი ეგონა. ბევრი ჩინელი დაიღუპა. რუსებმა გადაარჩინეს მეზღვაურნი.

ლონდონი. („რეიტ. სააგ.“). დაშიჩაოდან იუწყებიან 4 ივლისს, რომ იქ არაფერი ცვლილება არ მომხდარა. რუსის მოწინავე რაზმები 15-20 ვერსის სიშორეზე დგანან. 5 ივლისს მოჰხდა პატარა შეტაკება მოწინავე რაზმებს შორის. საზოგადოდ იაპონელები არაფერ მოქმედებას არ აპირობენ. რუსის ჯაშუშები ამბობენ, რომ იაპონელებმა სამხრეთისაკენ დაიხიეს.

6 ივლისი.

პეტერბურგი. ხელმწიფე დედოფალი მარიამ თეოდორეს ასული პეტერგოფს წავიდა საცხოვრებლად.

სიმბირსკი. ხელმწიფე იმპერატორმა, სიზრანში ყოფნის აღსანიშნავად, კეთილ ინება და გადასცა სიმბირსკის გუბერნატორს 1,000 მან. ქ. სიზრანის ღარიბეს მცხოვრებთათვის დასარიგებლად.

ბაქო. 6 ივლისს თერანში რამდენიმე ევროპიელი გარდაიცვალა; სხვათა შორის ოსმალეთის მისიის ექიმი ვომი და ცეგლერის ფირმის წარმომადგენლის ცოლი. სპარსეთის ყაზახთა ბრიგადა, რომელსაც რუსის ინსტრუქტორები ხელმძღვანელობენ, ძლიერ შემცირდა; ყაზახები მთებში წავიდნენ და 2,000 კაციდან თეირანში მხოლოდ 300-მდე ყაზახი დარჩა. ბაზარი დახურულია. ქალაქის ზოგიერთ ნაწილში მოძრაობა და მიმოსვლა მოისპო. სახლები დაკეტილია. გუშინ თეირანიდან ბაქოში ჩამოსულ ევროპიელთ ზღვის ნავთ-სადგურში დეზინფექცია გაუკეთეს ფრიად უხეიროდ, ასე რომ მგზავრებს სულ მთლად გაუფუჭეს ნივთები.—წავიდა თეირანში მედიცინის დოქტორი ბერესტენევი.—მოვიდა პეტერბურგიდან სპარსეთს მომავალი „კავკაზ ი მერკურ“-ის საზოგადოების სპარსეთის ტრანსპორტთა ბიუროს (აღმოსავლეთისა და რუსეთის) თავმჯდომარე კრედი. იმის მგზავრობის მიზანი—სააგენტოების საბოლოოდ მოწყობა, მათის მოქმედების გაერთიანება და სპარსეთში ახალ სააგენტოების გეგმის შემუშავებაა. ზოგიერთ სააგენტოში მოსამსახურეებმა საქმეს თავი დაანებეს და წავიდნენ. საწყობები უყურადღებოდაა დატოვებული. საჭიროა რუსეთის მისსიისა და კონსულების დახმარება ქონების დასაცველად.

პეკინი. („რეიტ. სააგ.“). აქაური საფრანგეთის მისსია აცხადებს: ცნობა, ვითომ საფრანგეთი ჯარის გადმოსხმას აპირებს კვანგსის პროვინციაში აშბოხების ჩასაქრობად, სრულებით სიმართლეს მოკლებულიაო.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატა. ბროდრიკმა განაცხადა, უთანხმოებათა ასაცდენად, რუსეთის მთავრობას ეცნობა ივნისის დამდეგს, რომ ინგლისის მთავრობა ტიბეტის პოლიტიკის შესახებ იმავე აზრისა არის, რაც 24 ოქტომბერს 1903 წელს დეპეშაში იყო გამოთქმული, მაგრამ, ცხადია, რომ მთავრობის მოქმედება რამდენადმე დამოკიდებულია ტიბეტელების ყოფაქცევაზე. ამიტომ მთავრობა პირობას ვერ დასდებს, რომ ყოველ შემთხვევაში არ ასცდება 23 ოქტომბერს 1903 წელს გამოქვეყნებულ პოლიტიკას. მთავრობამ განაცხადა, რომ სანამ არც ერთი სხვა სახელმწიფო არ მოიწადინებს ტიბეტის საქმეებში ჩარევას, ინგლისის მთავრობა თავის მხრივ არ ეცდება დაიპყრას ტიბეტი, ტიბეტის პროტექტორატი იკისროს ან ამ ქვეყანაში შინაგან გამგეობის კონტროლი დააწესოს.

სტამბოლი. სკუტარის ვალის ხაიდარ-ფაშის ცეტინიეში მოსვლის საბაბია—ხელის მოწერა რუსეთ-ჩერნოგორიის შორის შეთანხმებაზე, რომლითაც ბოლო უნდა მოეღოს რამდენისამე წლის განმავლობაში ჩერნოგორიისა და ალბანელთა შორის ატეხილ დავას საზღვრის მამულების გამო.

კურსკი. მოვიდა ფინანსთა მინისტრის ამხანაგი თავადი ობოლენსკი არყის მონოპოლიის დაწესებულებათა სარევიზიოდ.

მოლდე. გერმანიის იმპერატორი 6 ივლისს ბერგენს წავიდა.

7 ივლისი

სტამბოლი. („კორესპ. ბიურო“). რედიფთა ბატალიონების დემობილიზაცია ნაყოფიერად მიდის. პრიზრენის სანჯაკიდან, სადაც დარჩა მხოლოდ ნიზამის ხუთი ბატალიონი, წავიდნენ რედიფის ბატალიონები. შეთანხმებულ სახელმწიფოთა ელჩები საკმაოდ არა სთვლიან ამ ჯარს წესიერების დასაცველად. იმათის აზრით, საჭიროა 13 ბატალიონი.

სოფია. (ოპოზ. წრეებიდან). პორტა დასთანხმდა, შემოიღოს ათ სოფელში პროექტი საათეულო გარდასახადის სასოფლო სამეურნეო ნაწარმოებზე. ოსმალეთის ახალი კანონი საგერბო მარკების შესახებ, რომლის გამოც ზოგიერთა დიდმა სახელმწიფომ პროტესტი განაცხადა, უცხო ქვეყნელებსაც ეხება. თუმცა ესენი უარს ამბობენ, პორტა მაინც თავის გადაწყვეტილებაზე ხელს არ იღებს, რადგან ფულს საჭიროებს.

ბაქო. როგორც 25 ივნისის რიცხვით ზენგენძედან იწერებიან, თეირანის მიდამოებში ყოველ დღე ხოლერისაგან 400—500 კაცი კვდება. თეირანიდან გახიზნულნი [illegible] უქონლობის გამო მოეწყვნენ ბაღებში კარვებში. სურსათი მაქვთ სოფლებიდან, სადაც ხოლერაა. ცხოვრება საოცრად გაძვირდა. ენზელში დაწესდა სამი დღის კარანტინი.

7 ივლისი.

სოფია. (ოპოზიც. წრეებიდან). ბოლგარიის ეგზარხოსმა წარუდგინა დიდ ვეზირს საჩივარი იმის შესახებ, რომ მაკედონიაში დაბრუნებულ ემიგრანტებს—მასწავლებლებს და მღვდლებს ჯერ-ჯერობით არ მისცეს ნებართვა აასრულონ თავიანთი თანამდებობანი.—გიუმენჯეს გაგზავნილმა კონსულებმა, რომელთაც უნდა გამოეკვლიათ, რა მიზეზის გამო გადაიწვა რამდენიმე სოფელი, დაამკიცეს, რომ სალდათებმა ძალ-მომრეობა მოახდინეს და გადასწვეს ეს სოფლები. გამოძიებამ დაამშვიდა და გაამხნევა მცხოვრებლები.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ 28 ივლისისთვის, დილის 12 საათზე, ქალაქის გამგეობის სადგომში დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა**, რომელზედაც გაიცემა ქვა-ქვიშის სარგებლობა მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირას.

პირობების გასინჯვა შეიძლება ქალაქის გამგეობის სადგომში ყოველ დღე, კვირაუქმეებს გარდა, დილის 10-დან ნაშუადღევის 1 საათამდე. (3—5—2)



СѢДЕЛЬН.
СПЕЦІЯЛЬН.
Безъ конкуренціи
Продаются всевозможн. сѣдла.
მიხაილოვის პრ., სახლი აკოფოვისა, № 92, საზაფხულო ს. გრანის ახლოს. (წ.—176—58)

ГЕНЕРАЛЬНОЕ ОБЩЕСТВО
(Генеральное общество)
სიცოცხლის და სიკვდილამდის შემოსავალთა დაზღვევისა
აძლევს დამზღვევთ:

1) შეურყეველ გარანტიას, რომ უზრუნველჰყოფს ყველა ნაკისრ მოვალეობას; ამ გარანტიას წარმოადგენს: ა) საზოგადოების ძირითადი თანხა სამი მილიონი მანათისა (3.000.000), ბ) სათადარიგო თანხა, რომელიც სდგება საზოგადოების წმინდა მოგებიდან 10% გადადებით და გ) პრემიების სრულის სათადარიგო ჯამისაგან, რომელიც ინახება, მთავრობის ფაქტიურ კონტროლით, თანახმად 1898 წ. 11 მაისის კანონისა;
2) სრულს ხელუხლებლობას პოლისებისას და ყველა იმ ფულისას, რომელიც დამზღვევთ საზოგადოებიდან ერგებათ, არესტისაგან, გადაცემისაგან და სხვა;
3) უსათუოდ უცილებლობას პოლისებისას დაზღვევიდან 1 წლის შემდეგ.
4) პოლისების დაურღვევლობა დაზღვევიდან 3 წლის შემდეგ, ესე იგი, სამის წლის შემდეგ დამზღვევს ნება აქვს, თუ ჰსურს, შეაჩეროს გადასახადის შეტანა საზოგადოებაში და მიუხედავად ამისა, დარჩეს დაზღვეულად ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივად;
5) პასუხის გებას, თუ დაზღვეულმა თავი მოიკლა.
6) მოგზაურობის სრულს თავისუფლებას;
7) სამსახურისა და პროფესიის სრულს თავისუფლებას;
8) პრემიების სიიაფეს;
9) განთავისუფლებას გადასახადებიდან, რომელიც საჭიროა პოლისების დასამზადებლად დაკრეფე საგერბო გადასახადებისაგან;
10) უფლებას დაზღვევისათვის გადასახადის თვიურად შემოტანისას;
11, საზოგადოების მოგებაში მონაწილეობის ნებას იმის მიხედვით, თუ რამდენი ექნება დამზღვევს შეტანილი პრემია;
12) სესხს იმ პოლისების გირაოთი, რომელთაც 3 წლის განმავლობაში ძალა ჰქონდათ; სესხი გაიცემა 6%-ით;
13) უფლებას შეაჩეროს დროებით დაზღვევა და შემდეგ, თავისავე სურვილის თანახმად, კვლავ აღადგინოს იგი;
14) სამის თვის შეღავათს სავალდო პრემიის გადასახდელად და სხვ...

საზოგადოების **გამგეობა** იმყოფება პეტერბურგს, ნევსკი პრ., 23. **ამიერ-კავკასიის ოლქის მმართველობა** ტფილისშია, გოლოვინის პრ., ოქოევის სახლი, ტელეფონი № 429.
აგენტები არიან ოლქის ყველა უმთავრეს ადგილებში. (100—26)

ტრიოხგორნი ლუდხანის ამხანაგობა მოსკოვში

ყოველ დღე ამზადებს 3.500,000 ვედრა საუკეთესო ხარისხის ლუდს, რომელიც დაჯილდოვებულ იქმნა სახელმწიფო გერბით 1882 და 1896 წ. წ. გამოფენაზე. ამხანაგობა ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ განიზრახა ყოველ დღე მიაწოდოს ადგილობრივ მომხმარებელთ ახლად დამზადებული ლუდი რაც შეიძლება ნაკლებ ფასად და ამიტომ დააწესა ლუდის გამოგზავნა ტფილისში საკუთარ საყინულე-ვაგონებით. ტფილისში ნარდათ სავაჭრო ცენტრალური საწყობი ურჩევს მსურველთ იყიდონ ხოლმე უმაღლეს ხარისხის ლუდი:

სუფრაზე სახმარებელი (თეთრი) დაწესებ. ფასი მაღაზ. 15 კაპ. ბოთლი (1/20) უჭურჭლოდ.
კულმბახის (შავი) „ „ „ 16 „ „ „ „

ბოთლები ფირმისა სახელმწიფო გერბით არის, კაპსიულებით. ცენტრალურ საწყობის კანტორა თავის თავზე იღებს ლუდის სახლში მიტანას: სუფრაზე სახმარებლისა 14 კაპ. ბოთლი, კულმბახისა 15 კაპ. ბოთლი (1/2 ვედრისა), ჭურჭლის ბე 6 კაპ.

ადრესი: პუშკინის ქუჩა, № 11, წურინოვის პასსაჟი. **ტელეფონი № 1013.**
შენიშვნა: ტფილისს გარეშე მყიდველთ, თუ მოისურვებენ, ლუდი გაეგზავნებათ პასტერის სისტემით დაწმენდილი (ექსპორტ) და ღვინის ჭურჭლებში ჩასხმული. (50—

ჩემის ვაჭრობის მოსპობის გამო

ამა წლის 22 აპრილიდან დავიწყე უკანასკნელი გაყიდვა, საფაბრიკო ფასებზე დაბლა, სამებელო მაღაზიაში, ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ, ხაზინის გვერდით.

გადაჭრილი ფასებია დანიშნული.

ნარდათ მყიდველებს ვთხოვ პირდაპირ მე მომმართონ.

60—189—59) პატივისცემით **ბ. გ. ბერიევი.**

Доз. цензурою. 7 Іюля 1904 г.   ელექტრონის სტამბა წიგნების გამომც. ქართ. ამხ—ბის,   Электропеч. Груз. Изд. То—ва